

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს
გ. დ.-ს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
გ. შ.-ს

რეკომენდაცია

განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის მე-20¹ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“
საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად*

ბატონო გ,

ბატონო გ,

საქართველოს სახალხო დამცველს 2019 წლის 19 სექტემბერს მომართა დ. ნ.-მ განცხადებით (N12050/19), რომელშიც მიუთითებს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას განსხვავებული შეხედულების გამო.

აღნიშნული საქმის შესწავლის ფარგლებში, სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა თსუ-ს რექტორისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანისგან; 2019 წლის 1 ნოემბერს გამოკითხა თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი - დ. ნ. ასევე, 2019 წლის 11 დეკემბერს სახალხო დამცველის წარმომადგენლები გაესაუბრნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს გ. დ.-ს.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლის პოზიცია

განმცხადებელი 2010 წლიდან 2019 წლამდე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის - მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრაზე, მოწვეული პროფესორის სტატუსით კითხულობდა ლექციებს. მოსაზრებების გამოხატვის გამო, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა გ. ლ.-მ, 2019 წლის შემოდგომის სემესტრიდან მის პროფესორად მოწვევაზე უარი განაცხადა.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ის საჯაროდ გამოხატავს თავის შეხედულებებს ფაკულტეტზე არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, განმცხადებელმა გაავრცელა არაერთი კრიტიკული ფეისბუქ პოსტი თუ საჯარო განცხადება, რომელიც შეეხებოდა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებულ მდგომარეობას¹ აკადემიურ კონკურსებთან, დეკანის არჩევნებთან, კლანური მართვის სტილთან, კათედრასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებზე. განმცხადებლის განმარტებით, ფეისბუქ პოსტების გამოქვეყნების გარდა, მონაწილეობა მიიღო ე. წ. მაღლივ კორპუსთან გამართულ აქციაში, რომელზეც გამოყენებული იქნა პლაკატი რექტორის, დეკანის და ორი პროფესორის გვარებით („არა შ-პ-ს-დ-ს კლანს“); ინტერვიუები მისცა მედიასაშუალებებს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გ. შ.-ს, განათლების მინისტრის მ. ბ.ს და პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის - მ. ჯ.-ს სახელზე გაავრცელა ღია წერილი.

ამასთან, განმცხადებელმა წარმოადგინა ელექტრონული მიმოწერა, რომლის თანახმად, დეკანი კათედრის ხელმძღვანელს დ. ნ.-ს სწერს: „წარმოდგენილ ვარიანტში დასარეგულირებელია მოქ. დ. ნ.-ს მოწვევის საკითხი. ბატონმა დ. თავი აარიდა პასუხს ჩემს

¹მაგალითად: 2018 წლის 10 ნოემბრის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10211072012350755>; 2018 წლის 28 ნოემბრის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10211174247586572>; 2019 წლის 26 იანვრის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10211505989639916>; 2019 წლის 26 მარტის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10211836867311651>; 2019 წლის 21 ივლისის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10212484081811609>; 2019 წლის 22 ივლისის ფეისბუქ პოსტი https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10212490517772504?_tn_=-R; 2019 წლის 30 ივლისის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/photo.php?fbid=10212536492961855&set=a.1068237360705&type=3&theater>; 2019 წლის 15 აგვისტოს ფეისბუქ პოსტი https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10212635891846765?_tn_=-R; 2019 წლის 14 თებერვლის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10211618343328688>; 2019 წლის 24 მაისის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/photo.php?fbid=10212156372419079&set=a.1068237360705&type=3>; 2018 წლის 4 ოქტომბრის ინტერვიუ <https://for.ge/view/54359/sasaciloa-universitets-warmoadgendnen-adamianebi-romlebic-ver-floben-ucxo-enas-kompiuterul-teqnologiebs.html>; 2018 წლის 26 სექტემბრის ინტერვიუ http://kvira.ge/421664?fbclid=IwAR387cmPWucvNrKpwiWlP_QXSID-zcVVRrNi-qWBr9SVfGyGpNG_n3vq7E; 2018 წლის 16 ოქტომბრის სტატია <https://bpi.ge/thsu-is-ekonomikisa-da-biznesis-phakulteti-savatchro-da-kriminaluri-garigebbis-arenas-daemsgavsa/?fbclid=IwAR1woMOiUR0GU9o1NluPmC0kZrbriKXw0R4yZA45B8D81FIzic7QlGbg38w#.W8Xzh9K1Ie9.facebook>; 2019 წლის 19 ივლისის ინტერვიუ <https://pia.ge/post/273510-tsu-ekonomikisa-da-biznesis-fakultetis-profesor-maswavleblebi-lado-papavasa-da-avto-silagazes-klanur-mmartvelobasi-adanasauleben-da-dekanis-gadadgomas-itxoven?fbclid=IwAR2JQkJE2IO72rSK9vlfAHDsEpwvOQO8WMGDP8xJAKUVkZzGXMcuilDjGk>; 2019 წლის 28 იანვრის სტატია https://ipress.ge/new/thsu-is-propheori-lado-papavasa-da-avthandil-silagadzis-mudmiv-propheorebad-archevis-phaqts-pharss-utsodebs/?fbclid=IwAR2jMuqAIqPZYsvRjGzmFkw8DA-gd1l94I2_KzrQrAMs-HG4ZnsZK-wtPxs; 2019 წლის 14 აგვისტოს სტატია http://kvira.ge/491779?fbclid=IwAR2IzqI_dOQ9RKRvVdCSe8uvHTUSmniFPPhmbVcjXqEHw7s1xJH28mWj54iE; უნივერსიტეტთან <https://www.youtube.com/watch?v=g0AZHhTlQr0>;

კითხვაზე, როგორც დეკანი მიზანშეწონილად არ მივიჩნევ მოქ. დ. ნ.-ს მოწვევას მის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებების გამო“.

გარდა ამისა, დეკანი მიმოწერაში მიმართავს მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელს დ. ნ.-ს - „პროფესორთა შეხვედრაზე თქვენ დააფიქსირეთ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მოქ. დ. ნ.ს გამოთქმებთან დაკავშირებით (ფაკულტეტის გაყოფის მოსაზრება, კლანურობა და ა. შ.) აღნიშნული მოსაზრებები აბსოლუტურად მიუღებელია ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის უმრავლესობისათვის. რამ გამოიწვია პოზიციის ცვლილება და რამდენად დასაშვებია მოქ. დ. ნ.-ს მოწვევა“.

ელექტრონულ მიმოწერაში მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი დ. ნ. აღნიშნავს: „დ. ნ. არის წესიერი, საკმაოდ ჭკვიანი და განათლებული პიროვნება. მიუხედავად საჯარო განცხადებებთან დაკავშირებული ჩვენს შორის მოსაზრებების განსხვავებისა, ეს არ შეიძლება მისი არმოწვევის საფუძველი გახდეს. მე როგორც ჯერ კიდევ კათედრის გამგეს, მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი მოწვევა. პ.ს. სიამოვნებით მოვისმენ კონკრეტულ არგუმენტებს მისი არმოწვევის თაობაზე“.

ამასთან, დეკანატის თანამშრომელმა ი. მ. მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელს დ. ნ.-ს სწერს: „მივიღე დატვირთვები თქვენი ხელმოწერით. დეკანს „მიზანშეწონილად არ მიაჩნია მოქალაქე დ. ნ.-ს მოწვევა“ და ითხოვს აღნიშნული საათების სხვა პედაგოგებზე გადანაწილებას. გთხოვთ, განიხილოთ და მოგვაწოდოთ პედაგოგის გვარი.

აღნიშნულის პასუხად დ. ნ. წერს „მე დეკანის სახელზე ოფიციალური, დადგენილი ფორმით გადმოვაგზავნე არგუმენტაცია დ. ნ.-ს მოწვევაზე. თუ რაიმე მიუღებელია, გთხოვთ ასევე დეკანის ხელმოწერით ოფიციალურად მაცნობოთ, შესაბამისის არგუმენტაციის მითითებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა კანდიდატურის წარმოდგენა მიზანშეწონილად მიმაჩნია“.

ასევე ელექტრონული მიმოწერით დასტურდება, რომ ი. მ. წერს მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელს დ. ნ.-ს: „სამწუხაროდ, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს ხელი ეშლება აკადემიური რეგისტრაციის დაწყებაში. კიდევ ერთხელ, უმორჩილესად გთხოვთ, ბატონ დ. ნ.-ს ნაცვლად მოგვაწოდოთ სხვა პედაგოგის გვარი სავალდებულო საგანში „ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტი“. დ. ნ. კი პასუხობს: „მე ნუ მაბრალებთ სამსახურის საქმიანობის ხელშეშლას. მე წარმოვადგინე დ. ნ. და სხვისი მოწვევა მის ნაცვლად მიზანშეწონილად მიმაჩნია. თუ დეკანს არ სურს დ. ნ., მანვე მიიწვიოს სხვა, ვისაც თვლის მიზანშეწონილად“.

აღნიშნული მიმოწერის შემდეგ დეკანი გ. ლ. აღნიშნავს: „სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია კათედრის წევრებიდან შეირჩეს რამოდენიმე პირი, რომლებსაც აქვთ ანალოგიური სასწავლო კურსების წაკითხვის გამოცდილება. გაიარეთ

კონსულტაციები ხარისხის სამსახურთან და კათედრის წევრებთან. საბოლოო კანდიდატურა შემითანხმეთ“.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ მენეჯმენტის და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელის მხრიდან მისი მოწვევის დასაბუთების მიუხედავად, დეკანმა ოფიციალურ მიმოწერაში აღნიშნა, რომ: „*დეკანს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მოქალაქე დ. ნ.-ს მოწვევა, მის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებების გამო*“. განმცხადებლის განმარტებით, 2018 წლის 19 ნოემბერს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, განმცხადებლისა და იმ პროფესორების შესახებ, რომლებიც განსხვავებულ მოსაზრებებს აფიქსირებენ, გამოითქვა მოსაზრება, რომ „*ასეთი ადამიანები აღარ უნდა იყვნენ უნივერსიტეტში*“. განმცხადებელი განმარტავს, რომ მათ გამოითხოვეს საბჭოს სხდომის ჩანაწერი, თუმცა, ჩანაწერის გადაცემაზე უარი ეთქვათ.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ 2018 წლის 19 ნოემბერს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე შეიცვალა პროფესორის მოწვევის წესი. იქამდე, 2018 წლის 30 აპრილის N119/2018 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული იყო პროფესორის მოწვევის შემდეგი წესი: „*კანდიდატს პროგრამის ხელმძღვანელი და დეპარტამენტის/მიმართულების/ინსტიტუტის/კათედრის ხელმძღვანელი წარუდგენენ ფაკულტეტის დეკანს. ფაკულტეტის დეკანი წარუდგენილი კანდიდატისათვის შრომითი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით შუამდგომლობით მიმართავს თსუ რექტორს*“.

აღნიშნულ ჩანაწერში შევიდა ცვლილება, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: *კანდიდატს პროგრამის ხელმძღვანელი და დეპარტამენტის/მიმართულების/ინსტიტუტის/კათედრის ხელმძღვანელი წარუდგენენ ფაკულტეტის დეკანს. ფაკულტეტის დეკანი, თავის მხრივ, თანხმობის შემთხვევაში, წარუდგენილი კანდიდატისათვის შრომითი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით შუამდგომლობით მიმართავს თსუ რექტორს.*

განმცხადებლის განმარტებით, 2019 წლის 16 მაისის საბჭოს სხდომაზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა გ. ღ.-მ განაცხადა, რომ მომდევნო სემესტრიდან, კათედრის ხელმძღვანელები დამოუკიდებლად არ გადაწყვეტდნენ აკადემიური პერსონალის მოწვევის საკითხს.

განმცხადებლის განმარტებით, დეკანმა ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება მის საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით. ამასთან, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ დეკანმა არც ის გაითვალისწინა, რომ საგნის სილაბუსი და სასწავლო მასალა მის მიერ იყო შედგენილი და წლების განმავლობაში მხოლოდ ის კითხულობდა კათედრაზე. განმცხადებლის თქმით, დეკანი მისი საჯარო პოზიციების გარდა ვერ ასახელებს ვერც ერთ სხვა მიზეზს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მისი მოწვევის მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით.

1.2. თსუ-ს პოზიცია

2019 წლის 10 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სახალხო დამცველისათვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ფაკულტეტს გააჩნია თავისუფლება (ავტონომია), დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს აკადემიური, საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა. უნივერსიტეტმა თანდართული სახით გამოგვიგზავნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის გ. ღ.-ს კორესპონდენცია. გამოგზავნილი კორესპონდენციის თანახმად, პერსონალის მოწვევა ხორციელდება უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის 1² ნაწილის საფუძველზე, განსაზღვრული ვადით დადებული ხელშეკრულების ფარგლებში. მოწვეულ პერსონალთან შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საჭიროება დგინდება ინდივიდუალურად. დ. ნ.-სთან დაკავშირებულ კონკრეტულ შემთხვევაში სრულად არის დაცული თსუ-ში მოქმედი სამართლებრივი აქტები.

1.3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პასუხი და დეკან გ. ღ.-სთან გასაუბრება

სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან; ასევე სახალხო დამცველი წარმომადგენლები გაესაუბრნენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს - გ. ღ.-ს. დეკანის 2019 წლის 7 ოქტომბრის წერილში აღნიშნულია, რომ დაზუსტება, რომელიც შეეხება ფაკულტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად პერსონალის მოწვევის საკითხს, აკონკრეტებს ამ მიზნით განსახორციელებელ პროცედურებს, არის საყოველთაო, კოლეგიური წესით მიღებული გადაწყვეტილება და არ უკავშირდება კონკრეტულ პიროვნების საკითხს. დაზუსტებამ მკაფიო გახადა ფაკულტეტის დეკანის როლი ამ პროცედურაში.

მოპასუხე მხარის განმარტებით, დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიება განმცხადებლის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა. ამასთან, 2018 წლის 19 ნოემბრის სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოდგენასთან დაკავშირებით გვეცნობა, რომ აუდიოჩანაწერი არ წარმოადგენს ოფიციალურ ინფორმაციას, რომლის შენახვის ვალდებულებაც აქვს ფაკულტეტს, შესაბამისად მათ არ შეუძლიათ ჩანაწერის წარმოდგენა.

2019 წლის 12 დეკემბერს სახალხო დამცველმა დამატებით ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით მიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს, შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნით: *1) 2019 წლის შემოდგომის სემესტრში, ვინ კითხულობს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საგანს - „ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტი“; მიეცემათ თუ არა აღნიშნულ პირებს ამ საგნების წაკითხვისთვის დამატებითი ანაზღაურება; 2) კითხულობდნენ თუ არა აღნიშნული პირები მითითებულ საგნებს 2019 წლის შემოდგომის სემესტრამდე; გთხოვთ, მიუთითოთ შესაბამისი პერიოდები; 3) ეთქვათ თუ არა უარი სხვა პირებს 2019 წლის შემოდგომის სემესტრში ლექტორად მოწვევაზე; გადაეცათ თუ არა მათი საგნები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს; გთხოვთ,*

მიუთითოთ შესაბამისი პირები და საგნები; 4) მიეცემა თუ არა დამატებით ანაზღაურება აკადემიურ პერსონალს, მოწვეული ლექტორების ნაცვლად, მათთვის გადაცემული სალექციო კურსის წაკითხვისთვის.

2019 წლის 24 დეკემბერს მოპასუხე მხარემ სახალხო დამცველს მოაწოდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, 2019-2020 წლის შემოდგომის სემესტრში საგანს „ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტი“, ლექცია-სემინარებს უძღვება ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ბ. რ. აღნიშნული წარმოადგენს ასოცირებული პროფესორის სავალდებულო დატვირთვას და შესაბამისად, მას არ მიუღია დამატებითი ანაზღაურება. მოპასუხის განმარტებით, ასოცირებული პროფესორი ბ. რ. წლების განმავლობაში უძღვება სალექციო კურსს - „ოპერაციათა მენეჯმენტი“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

მოპასუხე მხარემ მოგვაწოდა ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებიც 2018-2019; 2019-2020 სასწავლო წლებში ლექტორად არ იქნენ მოწვეულნი. თუმცა, მოპასუხეს არ განუმარტავს, გადაეცა თუ არა მათი საგნები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს.

2019 წლის 11 დეკემბერს სახალხო დამცველის წარმომადგენლები გაესაუბრნენ თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს - გ. ღ.-ს, რომელმაც განმარტა, რომ ლექტორის მოწვევის ვალდებულება არ არსებობას. ასევე აღნიშნა, რომ მოწვეული ლექტორების რაოდენობა უნდა შემცირდეს. განმცხადებლის საგანს კითხულობს არა მოწვეული ლექტორი, არამედ პირი, რომელიც ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. დეკანის განმარტებით, არსებობს პოტენციალი, რომ შიდა კადრებმა წაკითხონ ლექციები. დეკანმა აღნიშნა, რომ იგი, როგორც ფაკულტეტის კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი პირი ემხრობა საათობრივი მოწვევის შემცირებას და თანხის აკადემიური პერსონალისთვის გადანაწილებას. მისი განმარტებით, აღნიშნული უფრო ეფექტიანი იქნება, როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე დეკანისათვის. ასევე, დეკანს არაეთიკურად მიაჩნია ელექტრონული მიმოწერის გასაჯაროება და მისი როგორც იურიდიულ დოკუმენტად წარმოჩენა არის უცოდინარობა.

1.4. განმცხადებლის დამატებითი პოზიცია

2020 წლის 13 იანვარს განმცხადებელმა მოპასუხის წერილზე წარმოადგინა დამატებითი განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბ. რ.-ს ძირითად დატვირთვას საგანი - „ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტი“ არ წარმოადგენს და მას სავალდებულო სემესტრულ დატვირთვაზე (10 საათზე) მეტი დაკომპლექტებული ჰქონდა სხვა საგნებით. კერძოდ, მას ჰქონდა 16 საათიანი დატვირთვა (ოპერაციული მენეჯმენტი - 7 საათი; სტრატეგიული მენეჯმენტი - 6 საათი; კონკურენტული სტრატეგიები - 3 საათი). შესაბამისად, განმცხადებლის მოსაზრებით, არ არსებობდა ბ. რ.-ს დამატებით დატვირთვის ობიექტური აუცილებლობა.

ამასთან, განმცხადებელი განმარტავს, რომ „ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტი“ მაგისტრატურაზე წასაკითხი საგანია, რომელიც ტექნოლოგიების კომპონენტს ითვალისწინებს და ბ. რ. ამ საგანს არასდროს კითხულობდა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ „ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტი“ შეიქმნა მისი და ასოცირებული პროფესორის - ე. ჩ.-ს თანაავტორობით და ფაკულტეტზე შემოტანის დღიდან ამ დისციპლინას ისინი ატარებდნენ. განმცხადებლის მითითებით, მას შემდეგ, რაც დაიწყო საგნის სხვა პედაგოგისათვის გადაცემის პროცესი, ე. ჩ. მისდამი სოლიდარობის ნიშნად უარი თქვა საგნის წაკითხვაზე და სხვებსაც კოლეგიალობის დაცვისკენ მოუწოდა.

1.5. დ. ნ.-სთან გასაუბრება

2019 წლის 1 ნოემბერს, სახალხო დამცველის წარმომადგენლები გაესაუბრნენ თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელს - დ. ნ.-ს.

დ. ნ.-ს განმარტებით, როდესაც მიმდინარე სემესტრში (2019წ.) „ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტის“ სალექციო კურსად წაკითხვა განისაზღვრა, ვინაიდან დ. ნ.-სთან მუშაობის კარგი გამოცდილება ჰქონდათ, მას გამოუყვეს სალექციო საათები. ამ მიზნით, შეავსო ლექტორის მოწვევის სპეციალური ფორმა, თუმცა, დეკანმა განმცხადებლის მოწვევა არ ჩათვალა მიზანშეწონილად.

დ. ნ.-ს თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მას ელექტრონული მიმოწერაც ჰქონდა დეკანთან და საბჭოს წევრებთან. მისი განმარტებით, განმცხადებლის კვალიფიკაციასთან ან/და სტუდენტების უკმაყოფილებასთან დაკავშირებით საკითხი დაყენებული არასდროს ყოფილა. შესაბამისად, დასაბუთებული არგუმენტაცია, თუ რატომ არ უნდა მოეწვია განმცხადებელი, წარმოდგენილი არ ყოფილა. ამდენად, დ. ნ. მიიჩნევს, რომ სწორედ განმცხადებლის მოსაზრებები გახდა მისი ლექტორად მოწვევაზე უარის თქმის საფუძველი.

მისი განმარტებით, შერჩეულ პროფესორს მანამდე საგანი - „ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტი“ არასდროს წაუკითხავს და სილაბუსიც, ისევე როგორც სასწავლო მასალა, განმცხადებლის მომზადებულია.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (კონსტიტუციის ახალი რედაქციით) წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული

პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.²

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ*, არ არსებობს *კანონით განსაზღვრული მიზანი*, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება* და იგი *დასახული მიზნის არათანაზომიერია*.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ*. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას *არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება*, ე. ი. *არ ისახავს კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის*.³

2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელს უარი ეთქვა დასაქმებაზე, შესაბამისად, სახალხო დამცველი შეაფასებს მოხდა თუ არა შრომის უფლებაში ჩარევა, განმცხადებლის მიერ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის გამო.

შრომის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის თანახმად, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შრომით ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია სხვადასხვა ნიშნების საფუძველზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით,

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II,1;

³ ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, § 60;

კონსტიტუციის 30-ე მუხლით (*ახალი რედაქციით 26-ე მუხლი*) დაცულია არა მხოლოდ უფლება აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისაგან და ისეთი რეგულირებისაგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას.⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით შრომის და შრომის ხელმისაწვდომობის უფლება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, თუმცა, ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის მიუთითა, რომ პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს პროფესიული და კომერციული აქტივობების განხორციელების უფლებასაც. „ძალზე შეზღუდული იქნებოდა [პირადი ცხოვრების] ცნების „შიდა წრით“ შემოფარგვლა, რომელშიც ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სურვილისამებრ არჩეული თავისი ცხოვრება და მისგან გამორიცხავდეს გარე სამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა, ასევე, უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას. ამასთან, არანაირი პრინციპული მიზეზი არ არსებობს, რომ „პირადი ცხოვრებიდან“ გამოირიცხოს პროფესიული თუ კომერციული აქტივობები. ადამიანთა უმრავლესობას გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარების მაქსიმალური შესაძლებლობა, სწორედ, მუშაობის დროს აქვს.“⁵

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. მე-7 მუხლით კი გარანტირებულია თითოეული ადამიანის უფლება ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები.⁶

ევროპის სოციალური ქარტიის V ნაწილის თანახმად, ქარტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა დაცულია დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ჯანმრთელობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, დაბადების ან სხვაგვარი სტატუსის საფუძველზე.⁷

დისკრიმინაციის გარეშე შრომის ხელმისაწვდომობის აუცილებლობას განამტკიცებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის #111 კონვენცია „შრომისა და საქმიანობის სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“, რომელიც ადგენს სამუშაოს თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.⁸

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება, II, 19;

⁵ ECtHR, *Niemietz v. Germany*, application no. 13710/88, 16/12/1992, § 29;

⁶ საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1483577>;

⁷ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებულის) და მისი დანართის თაობაზე, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის N1876 დადგენილებით <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43174>;

⁸ საქართველომ მითითებული კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1997 წელს;

ამასთან, კონვენციის თანახმად, ტერმინები „შრომა“ და „საქმიანობა“ მოიცავს პროფესიული სწავლების, შრომის და სხვადასხვა საქმიანობის ხელმისაწვდომობას, აგრეთვე შრომის ანაზღაურებას და პირობებს. კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად კი **ორგანიზაციის ყოველი წევრი**, რომლისთვისაც წინამდებარე კონვენცია ძალაშია, **იღებს ვალდებულებას**, განსაზღვროს და გაატაროს ეროვნული პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული პირობებისა და პრაქტიკის შესაბამისი მეთოდებით *წახალისოს შრომისა და საქმიანობის შესაძლებლობების ან მათდამი მოპყრობის თანასწორობა მათ მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით.*

დისკრიმინაციას კრძალავს საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კი შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

აღსანიშნავია, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის თებერვალში განხორციელებული ცვლილებებით დაკონკრეტდა, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზე. მათ შორის: წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად; დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე;⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაოს არჩევის, სამუშაოს ხელმისაწვდომობის და მისი განხორციელების უფლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებაა, რომელზეც, განსახილველ შემთხვევაში, უარი ეთქვა განმცხადებელს.

გამოხატვის თავისუფლება და განსხვავებული მოსაზრება, როგორც დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი

⁹ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტი;

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მე-10 მუხლით უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც მოიცავს პირის თავისუფლებას ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის შოკისმომგვრელია, შეიძლება გამოიწვიოს წყენა, აღშფოთება და ვნებათაღელვა საზოგადოებაში; ის, ასევე, მოიცავს კრიტიკასა და სარკაზმსაც.¹⁰

ამდენად, ხაზგასასმელია, რომ მოვლენის/სიტუაციის შესახებ დაფიქსირებული მოსაზრებები ან პირადი შეფასებები წარმოადგენს პიროვნების გარკვეულ ხედვას და ვერ იქნება შეფასებული როგორც ტყუილი ან სიმართლე; ხოლო რაც შეეხება იმ ფაქტის ხაზგასმას, რომელსაც მოსაზრება ეფუძნება, შეიძლება გახდეს სიცრუისა თუ ჭეშმარიტების კონტექსტში შესაფასებელი. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ ისეთი ინფორმაცია რომლის დადასტურებაც შეიძლება, არამედ ასევე ის მოსაზრება, კრიტიკა თუ სპეკულაცია, რომელიც შეიძლება „ჭეშმარიტების დადგენის“ საშუალებას არ იძლეოდეს.¹¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, შეუძლებელია იმ მოსაზრებების თუ გამონათქვამების შემოფარგვლა და ამომწურავად იდენტიფიცირება, ტერმინოლოგიის განსაზღვრა, რომელიც მთლიანად საზოგადოებისთვის, ყველა ადამიანისთვის მისაღებია. თუ ადამიანს არ შეუძლია იმის თქმა, რასაც ფიქრობს ან თუ მას აიძულებენ თქვას ის, რასაც არ ეთანხმება, ამით შეურაცხყოფენ ადამიანის უფლებების საფუძველთა საფუძველს – მის ღირსებას. თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს.¹²

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი ჩამოთვლის დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებს, რომელთა შორისაც ვხვდებით *სხვა შეხედულებას* როგორც დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს. აღსანიშნავია, რომ ადამიანის

¹⁰ ECtHR, *Handyside v United Kingdom*, no.: 5493/72, 7/12/1976, §49; *Jersild v Denmark*[GC], no.: 15890/89, 23/09/1994, §31; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/6/561,568, II, 40;

¹¹ Council of Europe, *Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights – A Handbook for Legal Professionals*, 2017, გვ. 78, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://rm.coe.int/handbook-freedom-of-expression-eng/1680732814>;

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/6/561,568 II, 41;

უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლიც (დისკრიმინაციის აკრძალვა) ექსპლიციტურად გამოყოფს სხვა შეხედულებას და მიიჩნევს დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნად. განმცხადებელმა გაავრცელა არაერთი ფეისბუქ პოსტი თუ საჯარო განცხადება, რომელიც შეეხებოდა ეკონომიკის და ბიზნისის ფაკულტეტზე არსებულ მდგომარეობას,¹³ რაც სწორედ *განსხვავებულ მოსაზრებას* წარმოადგენს. ამდენად, განმცხადებლის მიერ გავრცელებული მოსაზრებები ხვდება დაცულ ნიშანში „სხვა შეხედულებებში“. ამასთან, *სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ის არ შეაფასებს განმცხადებლის მიერ გავრცელებული და გამოთქმული განცხადებების შინაარსობრივ მხარეს, თუმცა, განმარტავს, რომ ჯანსაღი შრომით სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის, აუცილებელია დამსაქმებელმა არ მოახდინოს კანდიდატების სელექცია დისკრიმინაციული მიდგომით.*

გადაწყვეტილების შემდგომ ეტაპებზე, სახალხო დამცველი შეაფასებს შესაძარებელი პირების საკითხს და უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს.

2.3. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები

¹³ **მაგალითად:** 2018 წლის 10 ნოემბრის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10211072012350755>; 2018 წლის 28 ნოემბრის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10211174247586572>; 2019 წლის 26 იანვრის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10211505989639916>; 2019 წლის 26 მარტის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10211836867311651>; 2019 წლის 21 ივლისის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10212484081811609>; 2019 წლის 22 ივლისის ფეისბუქ პოსტი https://www.facebook.com/dnizharadze/posts/1021249051772504?_tn=-R; 2019 წლის 30 ივლისის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/photo.php?fbid=10212536492961855&set=a.1068237360705&type=3&theater>; 2019 წლის 15 აგვისტოს ფეისბუქ პოსტი https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10212635891846765?_tn=-R; 2019 წლის 14 თებერვლის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/dnizharadze/posts/10211618343328688>; 2019 წლის 24 მაისის ფეისბუქ პოსტი <https://www.facebook.com/photo.php?fbid=10212156372419079&set=a.1068237360705&type=3>; 2018 წლის 4 ოქტომბრის ინტერვიუ <https://for.ge/view/54359/sasaciloa-universitets-warmoadgendnen-adamianebi-romlebic-ver-floben-ucxo-enas-kompiuterul-teqnologiebs.html>; 2018 წლის 26 სექტემბრის ინტერვიუ http://kvira.ge/421664?fbclid=IwAR387cmPWucvNrKpwiWIP_QXSID-zcVVRrNi-qWBr9SVfGyGpNG_n3vq7E; 2018 წლის 16 ოქტომბრის სტატია <https://bpi.ge/thsu-is-ekonomikisa-da-biznesis-phakulteti-savatchro-da-kriminaluri-garigebbis-arenas-daemsgavsa/?fbclid=IwAR1woMOiUR0GU9o1NluPmC0kZrbriKXw0R4yZA45B8D81FIzic7QIGbG38w#.W8Xzh9K1Ie9.facebook>; 2019 წლის 19 ივლისის ინტერვიუ <https://pia.ge/post/273510-tsu-ekonomikisa-da-biznesis-fakultetis-profesor-maswavleblebi-lado-papavasa-da-avto-silagazes-klanur-mmartvelobasi-adanasauleben-da-dekanis-gadadgomas-itxoven/?fbclid=IwAR2JQkJE2IO72rSK9vlfAHDsEpwvdOOQ8WMGDP8xJAKUVkZzGXMcuil1DjGk>; 2019 წლის 28 იანვრის სტატია https://ipress.ge/new/thsu-is-propheori-lado-papavasa-da-avthandil-silagadzis-mudmiv-propheorebad-archevis-phaqts-pharss-utsodebs/?fbclid=IwAR2jMuqAIqPZYsvRjGzmFkw8DA-gd1l94I2_KzrQrAMs-HG4ZnsZK-wtPxs; 2019 წლის 14 აგვისტოს სტატია http://kvira.ge/491779?fbclid=IwAR2IzqI_dOQ9RKRvVdCSe8uvHTUSmniFPPhmbVcjXqEHw7s1xJH28mWj54iE; უნივერსიტეტთან <https://www.youtube.com/watch?v=g0AZHhTJQr0>;

კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.¹⁴

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.¹⁵

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი იყო ერთადერთი პირი, რომელიც კითხულობდა საგანს „ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტი“. იმის გათვალისწინებით, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს მის ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირი, რომელთან შედარებითაც განმცხადებელს არახელსაყრელად მოეპყრნენ, სახალხო დამცველი გამოიყენებს ჰიპოთეტურ კომპარატორს და იმსჯელებს, იმ შემთხვევაში, განმცხადებელს ან თეორიულად, მის ადგილას მყოფ სხვა პირს, რომ არ გამოეხატა განსხვავებული მოსაზრება, ეტყოდნენ თუ არა უარს დასაქმებაზე.

2.4. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.¹⁶

მოპასუხე მხარის განმარტებით, განმცხადებლის შრომის უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზნად, მოპასუხე მხარის განმარტებით, სასწავლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე შრომითი ურთიერთობის წარმოშობის საჭიროება წარმოადგენდა. ამასთან, დეკანმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ უპირატესად ადგილობრივი პერსონალის დატვირთვა უნდა მოხდეს, შესაბამისად, აღნიშნულსაც სახალხო დამცველი მოპასუხის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზნად მოიაზრებს.

გარკვეულ შემთხვევებში, სასწავლო პროცესის საჭიროებების გათვალისწინება, შესაძლოა, წარმოადგენდეს ლეგიტიმურ მიზანს, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა დეკანის მიერ მიწერილი მეილი, რომლის თანახმად, *„წარმოდგენილ ვარიანტში დასარეგულირებელია მოქ. დ. ნ.-ს მოწვევის საკითხი. ბატონმა დ.-მ თავი აარიდა პასუხს ჩემს კითხვაზე, როგორც დეკანი მიზანშეწონილად არ მივიჩნევ მოქ. დ. ნ.-ს მოწვევას მის*

¹⁴საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II, 19;

¹⁵საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება #2/1/473, II, 1;

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15;

მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებების გამო“; მოპასუხის მიერ დასახელებულ არგუმენტებს სახალხო დამცველი ლეგიტიმურ მიზნად ვერ მოაიზრებს.

გარდა ამისა, დეკანი მიმოწერაში მიმართავს მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელს დ. ნ.-ს - „პროფესორთა შეხვედრაზე თქვენ დააფიქსირეთ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მოქ. დ. ნ.-ს გამოთქმებთან დაკავშირებით (ფაკულტეტის გაყოფის მოსაზრება, კლანურობა და ა. შ.) აღნიშნული მოსაზრებები აბსოლუტურად მიუღებელია ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის უმრავლესობისათვის. რამ გამოიწვია პოზიციის ცვლილება და რამდენად დასაშვებია მოქ. დ. ნ.-ს მოწვევა“.

ამასთან, ი. მ. მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელს დ. ნ.-ს სწერს „მივიღე დატვირთვები თქვენი ხელმოწერით. დეკანს „მიზანშეწონილად არ მიაჩნია მოქალაქე დ. ნ.-ს მოწვევა“ და ითხოვს აღნიშნული საათების სხვა პედაგოგებზე გადანაწილებას. გთხოვთ, განიხილოთ და მოგვაწოდოთ პედაგოგის გვარი.

განსახილველ შემთხვევაში, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის - გ. ლ.-ს, მიერ მკაფიოდ და არაორაზროვნად არის დაფიქსირებული განმცხადებლის მოწვევაზე უარის თქმის მიზეზი. დეკანის მხრიდან გაკეთებული ფორმულირება სახალხო დამცველს არ აძლევს სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, გარდა იმისა, რომ განმცხადებლის მოწვევაზე უარი განპირობებული იყო სწორედ მის მიერ გამოხატული მოსაზრებების გამო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ შეიღების ავთენტურობა სადავოდ არ გაუხდია. ამასთან, საგულისხმოა, რომ თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოწვეული პერსონალის შერჩევის წესის ცვლილება, რომლის თანახმად, აუცილებელი გახდა დეკანის თანხმობა, დროში დაემთხვა განმცხადებლის მიერ პროტესტის გამოხატვას. აღსანიშნავია ასევე კათედრის ხელმძღვანელის დ. ნ.-ს პოზიცია განმცხადებლის პროფესორად მოწვევის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მოპასუხის არგუმენტს რომ არ არსებობს ლექტორის მოწვევის ვალდებულება, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ შრომითი ურთიერთობის წარმოშობაზე უარი დასაქმების ვალდებულების არარსებობის გამო არ გამორიცხავს რომელიმე ნიშნით პირისადმი დისკრიმინაციის ფაქტის არსებობას.

ასევე აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში საგანს - „ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტი“ განმცხადებელი კითხულობდა. მან შეადგინა სილაბუსი და სასწავლო მასალა. მოპასუხე ასევე განმარტავს, რომ განმცხადებლის მიმართ დისციპლინური ღონისძიება გამოყენებული არასდროს ყოფილა. ამასთან, მოპასუხეს არ მიუთითებია განმცხადებლის არაკვალიფიციურობაზე ან სტუდენტების უკმაყოფილებაზე. ამასთან, ე. ჩ., რომელიც „ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტის“ სილაბუსის თანაავტორია, უარს აცხადებს საგნის წაკითხვაზე და აღნიშნავს, რომ აკადემიურ პერსონალს უკვე გადაცემული აქვთ

სასწავლო დატვირთვები და მისი ინფორმაციით, აღნიშნული საგნის წაკითხვის სურვილი არავის გამოუხატავს და ადმინისტრაციას კონფრონტაციების დასრულებისაკენ მოუწოდებს.

განმცხადებელი ასევე მიუთითებდა, რომ 2018 წლის 19 ნოემბრის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, გამოითქვა მოსაზრება, რომ „ასეთი ადამიანები აღარ უნდა იყვნენ უნივერსიტეტში“. სამწუხაროდ, მოპასუხის მიერ ჩანაწერის წარმოდგენლობის გამო, სახალხო დამცველს მისი გაცნობის საშუალება არ მიეცა.

სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს ასევე თსუ-ს პასუხისმგებლობის საკითხზე. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია: თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას. ასევე კანონის თანახმად, დაწესებულებამ სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება უნდა მოახდინოს. ირკვევა, რომ 2019 წლის 9 სექტემბერს განმცხადებელმა სხვა პირებთან ერთად განცხადებით მიმართა თსუ-ს რექტორს და მიაწოდა ინფორმაცია ფაკულტეტზე არსებული მდგომარეობის შესახებ, რასაც უნივერსიტეტის მხრიდან არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება. კერძოდ, საქმეში არ არსებობს არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა თსუ-ს მხრიდან კონკრეტული ქმედებების განხორციელებას ვითარების გარკვევისა და დარეგულირების მიმართულებით.

განსახილველ შემთხვევაში, მოვლენების განვითარების თანმიმდევრობა ადასტურებს, რომ განმცხადებლის მოწვევაზე უარი განპირობებული იყო მის მიერ კრიტიკის საჯაროდ დაფიქსირებით. შესაბამისად, ფაქტების, მტკიცებულებებისა და სამართლებრივი სტანდარტების შეჯერებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თსუ-ს მხრიდან დ. ნ.-ს მიმართ ადგილი ჰქონდა შრომის უფლებაში ჩარევას განსხვავებული მოსაზრების გამოთქმის გამო.

3. დასკვნა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია საქმის წარმოებისას მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა. რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

საქმეში არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე, სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ განმცხადებლის უფლებაში ჩარევის საფუძველს რეალურად წარმოადგენდა მის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა დამსაქმებლისთვის. მოპასუხემ კი ვერ წარმოადგინა სათანადო და დამაჯერებელი

არგუმენტაცია, რომელიც სახალხო დამცველს განმცხადებლის მიმართ წარმოშობილ დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს გაუქარწყლებდა. შესაბამისად, სახალხო დამცველმა მოპასუხის მიერ დასახელებული არგუმენტაცია არ მიიჩნია ლეგიტიმურ მიზნად, რომელიც განმცხადებლის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას გაამართლებდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ **დ. ნ.-ს მიმართ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან ადგილი ჰქონდა პირდაპირ დისკრიმინაციას განსხვავებული მოსაზრების გამო.**

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი მიმართავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემდეგი რეკომენდაციებით:

1. 2020-2021 წლების და შემდგომ სასწავლო სემესტრებში განიხილოს განმცხადებელთან შრომითი ხელშეკრულების დადების საკითხი;
2. შეიმუშაოს შიდა სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც დაარეგულირებს ლექტორად მოწვევის საკითხს იმგვარად, რომ ნათელი და განჭვრეტადი იყოს კანდიდატებისათვის ის კრიტერიუმები, რაც შეიძლება დასაქმებაზე უარის თქმის საფუძველი იყოს; უზრუნველყოს თანასწორობის პოლიტიკის გატარება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, შიდა სამართლებრივი აქტებისა და სხვა დოკუმენტების „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მომავალში საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,